



პირადი ინფორმაცია

დაიბადა 1983 წლის 3 დეკემბერს კასპში.

განათლება

2000 წელს დაამთავრა ქ. თბილისის შ. რუსთაველის სახელობის N 112 საშუალო სკოლა;

2006 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;

2006 წელს გაიარა მოსამართლის თანაშემწის კურსები;

2008 წელს გაიარა ტრენინგი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში (OHCHR (office of the high commissioner for human rights Georgia)- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია);

2009 წელს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიარა ტრენინგი მოსამართლეთა თანაშემწეების პროფესიულ უნარ-ჩვევებზე (დანის კავკასიის პროგრამა სათანადო მართვის, ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გაუმჯობესება საქართველოში) - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;

2010 წელს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გაიარა ტრენინგი (დანის კავკასიის პროგრამა სათანადო მართვის, ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გაუმჯობესება საქართველოში) - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;

2011 წელს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით;

2012-2013 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი;

სამუშაო გამოცდილება

2005-2006 წლებში იყო პრაქტიკანტი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში;

2006-2007 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სტაჟიორი;

2007-2014 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის თანაშემწე;

2014-2015 წლებში იყო გურჯაანის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ყვარლის მუნიციპალიტეტში;

2014-2015 წლებში მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში;

2016 წლის იანვრიდან იყო ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე;

2016 წლის თებერვლიდან დაეკისრა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება;

2017 წლის მაისიდან თანამდებობაზე გამწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე;

2019 წლის აგვისტოდან არის საქართველოს ქალ მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობის წევრი;

2021 წლის 1 ივლისიდან გამწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლედ;

2020 წელს იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი;

2021 წლის 31 ოქტომბერს მოსამართლეთა კონფერენციამ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრად აირჩია.